ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია.

ფასი 2 მანეთი

პარასკევი, 21 ნოემბერი 1919 წ. № 207.

ჩვენი ქვეყანა

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 70 მ.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

შაბათს 25 ნოემბერს საღამოს 7 1/2 საათზე ქუთ. ქალაქის თეატრში წაიკითხავენ

ლექციებს

სპირიდონ კედია: საქართველოს საგარეო და შინაური მდგომარეობა.

ალ. ასათიანი: საქართველოს ეკონომიურ ფინანსიური მდგომარეობა. ლექციების შემდეგ გაიმართება კამათი.

ღრმად დამწუხრებული და ნინა ლალიძისა, სიძე პლატონ ლალიძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ შაბათს, 21 ნოემბერს (ახალი სტილით) იქნება გადახდილი წლის თავის წირვა და პანაშვიდი ს. ფერსათის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში უდროოთ გარდაცვალებულის პირველის ძმების, მეორესი ცოლის ძმების—მეექვსე კლასის რეალური სასწავლებლის მოწაფის

ბენედიკტე (ენუქა) და იოსელ ფორჩხიძეებისა.

1—1

ილია მანუჩარის ძე და ელისაბედ გიორგის ასული ჩიქოვანები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 23 ნოემბერს, ქუთაისის პეტრე პავლეს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველის მეუღლის და მეორის შვილის

ელენე ნიკოლოზის ასული ჩიქოვანის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

1—1.

სალამი ახალგაზრდა ჯარისკაცებს!

ახალგაზრდა ჯარისკაცებო!

ნეტაი თქვენ, რომ დედა-სამშობლოს სდარაჯობთ.

ნეტაი თქვენ, რომ ასეთი დიდი ღვაწლეობა გაბარიათ!

სამშობლოს ბედი და უბედობა თქვენზე ჰკიდია!

და თქვენ შეგწევსთ ახალგაზდური ენერგია, რომ სამშობლოს წინაშე ვალი მოიხადოთ.

იყავით მამაცნი, როგორც თქვენი წინაპრები, რომელთაც საქართველო მოძლევავებულ მტერთაგან დაიფარეს.

იცოდეთ: თქვენი მამები რუსეთის ჯარისკაცებთან ერთად რუსეთის მტრებს ებრძოდენ.

იმავე დროს ისინი ცივს, აუტანელს, დამასნეულებულ ჩრდილოეთში იხდიდენ სამხედრო ბეგარას.

თქვენ კი მოწვეული ხართ დაიცვათ თქვენივე სამშობლო.

უნდა დაიცვათ თქვენი მშობლები, და ძმანი, სახლები და მამულები!

იმავე დროს საქართველოს საზღვრებს არ გასცილდებით, იმ საქართველოს, რომელმაც ძუძუ გაწოვათ და აღგზარდათ.

მაშ მადლობა გადაუხადეთ თქვენ აღმზრდელს სამშობლოს, ტურფა საქართველოს, და იყავით მისი ერთგული, თავდადებული, ღირსეული შვილები!

და ნუ გასწყვეტთ კავშირს ხალხთან. ხალხის საჩივარი და სატკივარი თქვენსავე საჩივრად და სატკივრად მიიჩნიეთ.

იმავე დროს დაემორჩილეთ ჯარის უფროსებსა და ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას.

იცოდეთ: როცა ჯარისკაცები უფროსებს არ ემორჩილებიან ე. ი. დისციპლინა არა სწამსთ, ჯარი თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. ჯარის შერცხვენა კი მტერს გაეხარდება და სამშობლოს განსაცდელში ჩააგდებს.

მაგრამ არა! ქართველი ჯარი ყოველთვის სახელოვანი იყო და იქნება!

მეტადრე თქვენ, თავისუფალისა და დამოუკიდებელი სამშობლოს ჯარისკაცები ასახელებთ ქართულ დროშას.

ვიცი: რუსთველის ანდერძს არ გასტეხთ და ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვან სიკვდილს ამჯობინებთ!

გმირები იქნებით!

ვასილ წერეთელი.

სომხები და ჩვენ.

ამას წინათ დამფუძნებელმა კრებამ სოციალ დემოკრატიულ უმეტესობით რატიფიკაცია უქნა სომხებთან დადებულ ხელშეკრულებას. ეს პირველი ხელშეკრულებაა სომხეთთან.

მას შემდეგ რაც სომხებმა უდიდესი ცოდვა ჩაიდინა საქართველოსთან შინაური ამბოხებების მოწყობით ქართლსა, კახეთსა, დუშეთსა, ოსეთთან, შეთანხმებით საჩხერესა და სხვაგან, რაც მათ რუსებთან ერთად ჩვენი სახელმწიფოებრივობის წინააღმდეგ ბრძოლები აწარმოვეს ძეგვის ხიდის აფეთქებით, თბილისში ცეცხლის გაჩენით (ჰოტელ-პალას!) და შეეცადნენ ბრბო წაექეზებინა საერთო დარბევისათვის, მას შემდეგ რაც აშკარა შეიქმნა პროვოკაციული მუშაობა სომხურ წრეებისა საზღვარ გარეთ ჩვენს წინააღმდეგ, მას შემდეგ რაც უტყუარი ცნობა გვაქვს, რომ ჩვენთან ომის გამოცხადების დღის წინ ჯამალიანმა ბათომიდან რუსეთში ისეთი დეპეშები დააგზავნა, რომელიც იწვევდა მოხალისეებს ჩვენს საწინააღმდეგოთ, მას შემდეგ, ბატონებო, რაც რომ სააშკარაოზე გამოვიდა სომხეთის მართველ წრეების „დაშნაკცუტუნის“ გარდაუვალი ინტერესი: დამოუკიდებელ რესპუბლიკათა მოსპობა ამიერ-კავკასიაში გაფანტულ სომეხთა სამოქმედო ასპარეზის გასაერთიანებლად და სომხურ ელემენტის სხვის ტერიტორიაზე გასამტკიცებლად, მას შემდეგ რაც ამიერ-კავკასიის ორ უმთავრეს რესპუბლიკათა თავდაცვის კავშირს მთელს ამიერ-კავკასიაში მხოლოდ სომხებმა უმტყუნა და არ მოემხრო, ბოლოს რაც რომ სომხეთის მართველ პარტიის მეოხებით ყოველი მოქმედება სომხეთისა სამტროთაა გამზადილი მთელ ამიერ-კავკასიის ერთა საარსებო ინტერესების წინააღმდეგ—ყველა ამის შემდეგ ცხადია, რომ მოლაპარაკების დროს ორი ძალა იყო დაპირისპირებული. მთელ ამიერ-კავკასიის ერთა ძალა ჩვენი მთავრობის დელეგაციის სახით წარმოდგენილი და ყოვლის მხრივ გაკიცხული და დაგმობილი, ზნეობრივათ ყველგან ხოლო ფიზიკურათ სადახლოსთან დამარცხებული სომხობა. აქ მთელი საიდუმლოება დიპლომატიურ მოლაპარაკებისა ის უნდა ყოფილიყო, რომ ყოველგვარათ სახელ გატეხილი და მუხანათურ ომში თვითვე დამარცხებული მტერი სავსებით გაგვენადგურებინა ზნეობრივათ და საბოლაოთ ხელი აგვეღებინა მისი წრე გადასულ, პირდაპირ თავხედურ მოთხოვნილებებზე. მაგრამ! რა მოხდა! მოლაპარაკების შედეგი სულ სა-

დღიური.

ბოლშევიკებმა ქ. კურსკი აიღეს.

ესტონეთში მთავრობა—გადადგა.

ესტონეთი კოლჩაკის ჯარს თავის ტერიტორიაზე არ უშვებს.

საფრანგეთის არჩევნებში კონსერვატორებმა გაიმარჯვეს. დამარცხდნენ რადიკალ სოციალისტები.

გერმანიაში მონარქიული მოძრაობის გაძლიერებას, მოკავშირეთა რეპრესიებით ხსნიან.

ეგვიპტეში არეულობაა.

სოხუმის ქალაქის თავად აირჩიეს ეროვნულ-დემოკრატი დავით შერვაშიძე.

წინაამდგოა! გამარჯვებული დარჩენ სომხები! ყოველი მათი ძირითადი სურვილი მათ შეისრულეს. ტრანზიტის უფლება, რომელიც მათ აძლევს ყველაფერს და ჩვენ კი სრულიათ არაფერს; არბიტრაჟის დაწესება, რომელიც eo ipso თავდაპირველ ეთ გულისხმობს ჩვენს სრულიათ უდავო საკითხებს შესახებ ჩვენი ფიზიკურ არსებობისა, ეგ გარემოება ფრიად დამაფიქრებელია. ის ამტკიცებს რომ სომხობა ფსიხოლოგიურით უფრო ძლიერი ვიდრე ჩვენ, ჩვენი მთავრობის სახით. სომეხ მთავრობის ნების ყოფა უფრო ძლიერი, უფრო უდრეკი, მეტი მტკიცე და შეურყეველი აღმოჩდა ვიდრე ჩვენი მთავრობის. საინტერესოა ეს მოვლენა. ომში, ეკატერინოფელდის მინდვრებზე, ჩვენი ჯარი, მთელი ოფიცრების კადრი ე. ი. ქართველი ხალხის ალტყინებული სული გამარჯვებული გამოვიდა სომხებთან ბრძოლაში, იქ იბრძოდა ქართველი, ხალხი როგორც ერთი ადამიანი და იმ საერთო გატაცებამ ჩაითრია ზოგი ფანატიკი სოციალ დემოკრატიც. ხალხი მაშინ ერთი გრძნობით იყო გატაცებული, რომელზედ უკეთესი არ წარმოუშვია არც კაცობრიობის ისტორიას და არც აზრთა განვითარების მრავალ ათას წლოვან პროცესს. მაშინ ჩვენი ხალხი მოცული იყო ტომის შენახვის გრძნობით, რომელიც კულტურულ ერებში პატრიოტიზმათ იწოდება, და რომელსაც ისტორიის სივრცეზე ბევრი ერები თავგანწირულობამდე მიუყვანია. აი, ამ გრძნობით გაიმარჯვა ომში ხალხმა. მაგრამ ეს წმიდა გრძნობა აკლია ჩვენს სოციალისტურ მთავრობას და უხვათ მოეპოვება სომხეთისას. და როდესაც ეგ ორი მთავრობა ერთი მეორეს დაუპირისპირდენ ჩვენი ხალხის მიერ ძლეული და სამარცხვინოთ დამარცხებულ სომხეთის მთავრობა ფარხმალით აღჭურვილი, ხოლო ჩვენი ჯარით გამტკიცებული მთავრობა კი იარაღისგან განძარცული, მოდუნებული აღმოჩდა, და ამისათვის რაც ჩვენმა ხალხმა ეკატერინოფელდის და შულავერის მინდვრებზე ბრწყინვალეთ მოიგო, ის ერთ-ერთ სამინისტროს ბრჭყვიალა დარბაზის გრძელ მაგიდასთან ჩვენმა სოციალისტურმა მართველმა წრემ სამარცხვინოთ წააგო.

მაგრამ!... გულს ნუ იმხნევებს მტერი, რომ საქართველოში ბატონობს დღეს დღეობით ის სოციალისტური ავადმყოფობა, რომელსაც სასიცოცხლო ძალა პატრიოტიზმისა გამოცლილი აქვს. ხალხი ილვიძებს. ხალხი ერკვევა სიბრუეს. ახალი სიოგაფხიზლებისა, გადამწყვეტ წუთს ქარიშხალათ ქცეული, მყისვე გაანიავებს შეურაცმყოფ ქალალდებს. უკანასკნელთ გადაყობა ისინიც, ვინც ხალხის გაღვიძებულ ნებისყოფასა და მამულიშვილურ გრძნობებს გადაელობება.

ორი გამოსვლა.

ბ. თევზაიას სიტყვებიდან ორი რამ ვიცი (პრესის საშუალებით) და ორივენი ფრიად საყურადღებო არიან, რადგან, ჩემის აზრით, ჩვენი სოც.-დემოკრატიის აზრს გამოთქვამს ბ-ნი თევზაია ეროვნულ საკითხზე.

პირველი სიტყვა:

გეხსომებათ, რომ მსოფლიო ომის დროს (შვეიცარიაში) მოხდა ჩაგრული ერების წარმომადგენელთა დიდი ყრილობა ჩაგრულ ერთა სახსნელად და მათი ბედის გამოსაჭედათ.

ამ ყრილობას დაესწრო ჩვენი ქვეყნის სასიქადულო შვილი და მეცნიერი მიხ. წერეთელი. მისი სიტყვა, როგორც სიტყვა საერთაშორისო უფლების მშვენიერად მცოდნისა, და ჩაგრულ ერთა განსათავისუფლებლად დიდი მებრძოლის და განთქმული ორატორისა ისეთი მქუხარე ტაშით იქნა დაჯილდოებული, რომ იქ დამსწრე. რუსული გაზეთის თანამშრომელს ნერვები აეშალა და ყრილობა დასტოვა.

22 ერის წარმომადგენელთა კრებაზე საქართველოს შვილმა პირველობის გვირგვინი მიიღო. ამიტომ საფუძველი გვაქვს ვიგულისხმოთ, რომ თუ წარმომადგენლებით შეიძლება რამოდენიმედ მაინც ერის გაცნობა, ქართველი ერი იმ კრებაზე დამსწრეთ უნდა წარმოედგინათ თავისუფლებისათვის შეუპოვარ მებრძოლად, ისეთ ერად, რომლის ჯან განუწყვეტელ სულს ვერავითარი ძალა ვერ მოსდრეკს. მაგრამ გამოვიდა თევზაია და განაცხადა, რომ იგი წერეთლის წინაამდეგია საქართველოს ბედის საკითხში, რომ ქართველი დემოკრატია მიდის ხელი-ხელ ჩაკიდებული რუსეთის დემოკრატიასთან და მალე ისეთ სანატრელ მდგომარეობას შექმნის რუსეთში, რომ ყველა ბედნიერი იქნება, და ქართველებზე აქ ცალკე ლაპარაკი რა შუაშიაო. ცოტა ხნის მერე მომხდარმა ამბებმა დაგვანახეს, თუ რა გამჭრიახი პოლიტიკოსი ყოფილა ეს ბ. თევზაია: ვხედავთ, რა მშვენიერი დღეები დაუდგა რუსეთს, ვხედავთ რა კავშირშია მის დემოკრატიასთან თუ არისტოკრატიასთან საქართველო.

განა ამის გათვალისწინება ძნელი იყო? ცოტა იყო მაგალითი რუსობის ჩვენდამი უდიერად მოპყრობისა?..

ბრძანებთ, რომ ეგ რუსები დემოკრატები არ იყვნენო.

კეთილი.

შეხედეთ „გადაჭრილი მუხის“ უკანასკნელ სცენას, სადაც ნამდვილი ტიპიური მუჟიკი, რუსი, ახალი ბატონ-პატრონი ქართველი თავადიშვილის მამულისა, დიდი ჯოხით მიგრეკება ამ მამულის ყოფილ პატრონს და მის ყოფილ ცოლს პატარა ბიჭითურთ, რომელიც სოფლის შემწეობით ცხოვრობს. ესენი ცრემლებს აფრქვევდენ თავის გადამწვარ, აოხრებულ ბუდეზე და განადგურებულ კულტურულ ნაშრომ ნაღვაწლზე.

ამ დროს რუსის გლეხი მათ კეტით თავის გაპობას ემუქრება და „змеиное отродіе“-ს, გველის შთამომავლობას უწოდებს.

საქართველოს ბედს სჭედდით, ბ. თევზაია და საქართველოში თქვენ ეს და მრავალი სხვა, ამგვარი სურათები არ გინახავსთ?

თუ გინახავსთ, რომელმა გონებამ გითხრათ, რომ ჩვენი ხალხი და იმ რუსის მუჟიკებთან ერთად დიდი მეგობრები იქნებოდენ და ცოდვილ მიწაზე სამოთხეს დაამყარებდენ?

გეგონათ, რომ რესპუბლიკა უსჯულო სავლეებს ქრისტეს მოყვარე პავლეებად გადააქცევდა?

მეორე სიტყვა

ეხლა, როდესაც საქართველოს საზღვრების ბედი წყდება; როდესაც დაუძინებელი მტერი იმ ციხე ბურჯებს თავისად თვლის, რომელიც ჩვენ დასაცავად თვით ბუნებას აუმართავს და კიდევ შიგნი ბევრს გვედავება იმისთანას, რომლის დათმობაც ჩვენთვის სამარცხვინო სიკვდილის გამზადებაა; როდესაც მტრის თავხედობით აღშფოთებული ერთ სალი კლდესავით უნდა იდგეს საზღვარზე და თავის მიწა წყალს იცავდეს,—გამოდის ბ. თევზაია და აცხადებს, დამეუძ. კრებაში რომ ქართველი ერი რამოდენიმე სოფელს დათმობს, მხოლოდ ომი თავიდან აიშოროსო. რასაკვირველია, ეს განცხადება დაშნაკელების წარმომადგენლებს ესმით. ეს საუკეთესო ნიმუში ბ. თევზაიას დიპლომატიური ნიჭისა!

რატომ, რისთვის ამას არ ამბობს, რას გვითმობენ მაგიერს მოწინაამდეგენი და რა უფლება აქვსთ მათ რომ დათმობა ჩვენი მხრიდან მოითხოვენ? სომხების ხასიათი რომ ვიცით, უნდა ვსთქვათ, რომ დღეს თუ რამოდენიმე სოფელს დაუთმობთ ხვალ სხვებს მოგვთხოვენ, ზეგ კიდევ სხვებს და ასე ამ რიგად ვიდრე საქართველოს [illegible] არ მიადგებიან.

თუ თევზაიას ჭკუით ვივლით ყოველთვის უნდა დაუთმოთ, რადგან მისი აზრით, ეს ომის თავიდან ასაცილებლად იქნება საჭირო, და ომით დამუქრება ისე ადვილი საქმეა, რომ დაშნაკელებს არასდროს არ გაუჭირდებათ და არც არაოდეს დაიზარებენ, ომით დამუქრებას რადგან მოსაგები საქმე იქნება მათთვის.

რა არის მიზეზი ასეთი დათმობისა? სომეხთა ჯარის ძლევა მოსილება? ნუ თუ ბ. თევზაიამ არ იცის სადახლო-შულავერ-ეკატერინოფელდის ბრძოლები, საიდანაც სომხის ჯარები თავზარ დაცემული გარბოდენ, და რომ ინგლისს და ჩვენი მთავრობის ზომაზე მეტ კაცთ-მოყვარეობას არა გუმბრსაც მალე გასცილდებოდენ.

მიზეზი უთუოდ სხვა უნდა იყოს. აკურთხოს ღმერთმა სომხების ორგანო „აშხატავორი“ იმან გვამცნო: თუ ქართველები დაგვითმობენ და დაგვიმეგობრდებიან მაშინ სოციალიზმის საქმე კარგად წავა, მალე განხორციელდებაო.

აი სად მართლდება სოციალისტების დათმობის ნაბიჯები.

თურმე რუსეთში მიუღია რაღაც ბოლშევიკურ ანარქისტული და სახიფათო მიმართულება სოციალიზმს, თორემ სომხებს თუ ადგილ-მამული დაუთმე და ამ სახით მათ „მეგობრობას“ ველირსეთ, მაშინ სამშობლოზე ზრუნვა ვიღას რად უნდა? სოციალიზმი, ბედნიერება, დამყარდება. ქართველო ხალხო, როდის გითხრა შენ ბ. თევზაიამ თუ რა არის სოციალიზმი, როდის შეიყვარე შენ ეგ სოციალიზმი? და როდის მიანდვე შენ თევზაიას შენი მამა პაპის ოფლით და სისხლით ნარწყავი მიწა წყალის დარიგება სოციალიზმის განსახორციელებლად?.

კონსტ. ლომთაძე.

პრესა.

რასაც ჩვენ კარგი ხანია გავიძახით და რისთვისაც ჩვენ ჯვარზე ცმას გვიპირებდენ, იმას ველარ მალავს სოციალ დემოკრატების ლეიბ ორგანო „ერთობა“ და თითონვე აღიარებს, რომ არც ისე ადვილი ყოფილა სახელმწიფოს მართვა როგორც მათ ეგონათ, და თუ ეს ძნელია გამოცდილი პარტიისთვის, მით უმეტეს ძნელია მათთვის“.

რომლებსაც არ გვქონია არავითარი პრაქტიკა, არავითარი ტრადიცია, არავითარი გამოცდილება სახელმწიფოებრივ მუშაობაში. ამიტომ რა გასაკვირია, თუ ჩვენ თან ვსწავლობთ და თან ვაშენებთ.

ჩვენი უბედურება სწორეთ იმაში მდგომარეობს რომ ისეთი პარტია დაეპატრონა საქართველოს რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც არაკითარი გამოცდილება არ ქონია, და რომელიც მხოლოდ ეხლა სწავლობს. ჭკვიანი უნდა რომ მოწაფემ რომელიც მხოლოდ ეხლა სწავლობს მასწავლებელს გადააბიჯოს და ის ფონს გავიდეს.

„სახელმწიფოს აშენება მეტად ბევრ მცოდნე და გამოცდილი პირების მუშაობას ითხოვს. და რაკი ასეთები მეტად მცირეა, რესპუბლიკა იძულებულია ისეთი პირების შრომითაც ისარგებლოს, რომლებიც ხშირათ თავის მოვალეობას ზომავს და წონის პირადი სარგებლობის, პირადი ინტერესების მიხედვით“...

„უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს სახელმწიფოებრივ მუშაობაში ბევრი ისეთი ულირსი პირი ჩაერია, რომელთა მოქმედება დიდათ უშლის ხელს და აფერხებს რესპუბლიკის განმტკიცება განვითარებას.“

სწორეთ ეს გვაწუხებს ბ-ნო განო რომ ისეთი პირები დაგვიჯინეთ სახელმწიფოს სათავეში, რომლებიც პირადი სარგებლობის და პირადი გემოვნების საზომით ატრიალებს ერის ბედს.

„ჩვენს წრეებში გავრცელებულია ერთი ყალბი და ცრუ შეხედულება. რაკი ბოროტება ჩაიდინა ვთქვათ, ჩვენმა ამხანაგმა, ეს უნდა დავფაროთ, არ უნდა გამოვაშკარავოთ, რადგან ეს ვითომდა ამცირებდეს ჩვენ პარტიულ პრესტიჟს“.

„დღეიდან იქნება სპეციალური განყოფილება, რომელიც არ დაინდობს არც დიდს, არც პატარას, არც შინაურს, არც გარეულს და ყოველივე იმას, რაც ღირსია გაკიცხვის, საჯაროზე გამოიტანს და საზოგადოების მსჯავრს წარუდგენს“.

ბატონი განი გვპირდება ყოველ ბოროტმოქმედებას ჩვენი ამხანაგებისას ჩვენ თითონ გამოაშკარავებთ და მიჩნეული ადგილი ექნება ჩვენს ბაზეთში დათმობილი.

ეს დიდი სამსახური იქნება ერისა და რესპუბლიკისთვის, მაგრამ უნდა წინასწარმეტყველოთ, რომ თქვენ საპირება აასრულოდ და ყოველი ბოროტ ნოქმედება სისტემატიურად ნიშნოთ „ერთობის“ ოთხ გვერდიან გაზეთში, ის არ დაეტევა და ალბად დაგჭირდებათ რამოდენიმე გვერდის მომატება.

არა პირდაპირი საშუალებითაც ეიძლება ბ-ნო განო ბოროტ მოქმედების აღმოჩენა. დაუთმეთ ერთი ნაწილი თქვენ გაზეთში, თუ ვის რა ონება ქონდა სოციალ-დემოკრატიის ბატონებამდე და ვინ რა შეიძინა ამ-ემდეგ და ეს საუკეთესო აღმომჩენი ონება ბოროტ მოქმედების.

ოზუმის ქალაქის ახალი გამგეობა.

ქალაქის გამგეობის არჩევნები სომში უკვე მომხდარა და არჩეულ-არიან მომდეგი პირნი:

ქალაქის თავად, ეროვნულ-დემოკრატი დ გ. შერვაშიძე, რომელმაც მიიღო 24 თეთრი და 8 შავი ხმა.

გამგეობის წევრებად:

ეროვნულ-დემოკრატი ე. ი. ჯუღელი, —27 თეთრი და 5 შავი,

სოციალ-ფედერალ. ა. ვ. მხეიძე, —25 თეთრი და 7 შავი.

სოც.-დემ. ლ. ნოვიკოვი —22 თეთრი და 10 შავი.

რუსეთი.

მოხალისეთა ცნობები.

(საქ. დეპ. სააგ.)

ასტრახანის მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია. კამიშინის მიმართულებით მოწინავე რაზმების შეტაკებაა. ბალაშოვის მიმართულებით დროგამოშვებით სროლაა. ხორპსა და მედვედიცას შორის სოფ. ჩერნოვსკაიას და კლუჩევსკოის რაიონში დონელებმა 300 ტყვე წამოიყვანეს. ხელში ჩაიგდეს ზარბაზანი და 9 ტყიისმფრქვეველი. ქვემო ხოპრზე მზვერავები მოქმედებენ. ვორონეჟის მიმართულებით ტალოვოის, ბობროვის და ლისკის ჩრდილოეთით მდგომარეობა არ შეცვლილა. სასტიკი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა სადგური კასტორნოე დასტოვა და სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით დაიხია: ორიოლის მიმართულებით ტიმის რაიონში მზვერავები მოქმედებენ. კურსკის ჩრდილოეთით ჩვენ ნიკოლსკოეს და ჟერნოვეცის ფრონტზე მტერს ვაჩერებთ. ლგოვის და რილისკის ჩრდილოეთით მზვერავები მოქმედებენ. ბრიანსკის მიმართულებით მდ. კლევანიზე სროლაა, მაკოშინის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი ბრიტანია-არემიალოვკას ხაზზე იბრძვის. კოზელეცის ჩრდილოეთით დრო გამოშვებით სროლაა. ჟიტომირის მიმართულებით მდ. ირპენის მარცხენა ნაპირზე ჩვენმა ნაწილმა რაკოვკა დაიჭირა. ფასტოვის და ვინიცის მიმართულებით მდგომარეობა არ შეცვლილა. პროსკუროვის მიმართულებით ჩვენი ჯარი ბრძოლით კამაროვიცის ელტუშკოვო-ირაკლეევკას ხაზზე გამოვიდა. მტერი და სავლეთით უკან იხევს. ოდესის რაიონში სიწყნარეა.

ბოლშევიკური ცნობები

სამხედრო ცნობა. ნოემბრის 18 არხანგელსკის მიმართულებით მტრის ჯაშნიანი მატარებელი უშედეგოთ მოქმედებს. ფინეთის ყურეს რაიონში ჩვენი ჯარი მდ. ლუგაზე გადავიდა. ნარვის მიმართულებით იამბურგის დასავლეთით ბრძოლა გრძელდება. ნარვის სამხრეთით 25 ვერზე ჩვენმა ჯარმა სოფლები დაიჭირა. რკინის გზის რაიონში და მდ. ნაროვის სათავეში ბრძოლაა. წამოვიყვანეთ 53 ტყვე. დასავლეთ დვინაზე მზვერავები მოქმედებენ. კიევის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. ჩერნიგოვის რაიონში ჩვენ შეტევას განვაგრძნობთ. ლგოვის მიმართულებით სად. კასტროეს და სადგ. სუკოვნიკინის რაიონში ჩვენმა ცხენოსანმა რაზმა მტრის ცხენოსნები დაამარცხა ხელში ჩაიგდო 2 ჯავშნიანი მატარებელი, 1 ჯავშნიანი ავტომობილი, 2 ეშელონი ვაგონების ყუმბარებით და სხვა მრავალი ქონება. ბობროვის და კალაჩის მიმართულებით ჩვენი შეტევა გრძელდება. ნოვო ხოპერის სამხრეთ დასავლეთით 25-28 ვერსეზ ჩვენ მთელი რიგი სოფლებისა დავიჭირეთ დონსა და ვოლგას შუა ლოზნოის დასავლეთით და დუბოვკის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენ რამდენიმე პატარა სოფელი ავიღეთ.

გუშინ ღამით ჩვენმა ჯარმა კურსკი აიღო. კურსკი გზაა უკრაინისაკენ. კურსკი გზაა ხარკოვისკენ და დონეცის რაიონისკენ. იუდენიჩზე გამარჯვება განმტკიცდა მდ. ნაროვის დაჭერით, კოლჩაკზე გამარჯვება კომსკის აღებით. დენიკინზე გამარჯვება განმტკიცდება ხარკოვისაკენ და როსტოვისაკენ გამარჯვებით წინსვლით.—კიევთან წითელი არმიის მიახლოვების გამო დენიკინელებს კიევიდან მთელი ქონება გააქვთ. ბურჟუაზია როსტოვისკენ გარბის როდესაც დენიკინელებს ყუმბარები გადაქონდათ ვაგონში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლი მოედო მატარებელს და საწყობებს აფეთქება 5 საათს გაგრძელდა.

ია ეკალაძე

ბოლშევიკებისგან დატყვევების წინ წერდა:

ნათქვამია: „რასაც დასთესავ, იმას მოიმკიო“ და ეს თქმულება ზედმიწევნით უსრულდებათ ურა-სოციალისტებს.

მმართველ პარტიის ერთგულად აღიარებულმა გურიამ თავი შეირცხვინა და 9 ამ თვეს საიდანღაც გაჩნდა აუარებელი გურული „ბოლშევიკობა“ და გათენებისას ხელში ჩაიგდეს აქაური შტაბი და ფოსტის კანტორა. მთელ დღეს იბატონეს და იჭერდნენ თავის ძმა მენშევიკებს. თერთმეტს ღამით კი—ოზურგეთიდან ამოვიდნენ ჯარი და არტილერია, დასცალეს ზარბაზნები და „ბოლშევიკებმა“ მოუსვეს ტყისაკენ. ახლა ჩოხატაურის გარშემო მთებში არის ერთი ფოთქა-ფუთქი და ვაი-უშველებელი! როდის გათავდება ეს ძმათაჭამიობა, დანამდვილებით ვერ ვიტყვით. მდგომარეობა სერიოზულია. სასწავლებლები დროებით დახურულია, ხალხი დიახ ხალხი, რომელსაც არა ესმის რა, არც ბოლშევიზმისა და არც მენშევიზმისა—თავზარ დაცემულია!.. ხოლო მცოდნე და მკვლევარი ჩვენის უკულმართი ცხოვრებისა თვალ-ცრემლიანი გაიძახის: თუ აქამდე არა გჯეროდათ, რომ მოძღვრება კლასთა ბრძოლის შესახებ ძმათა შორის ბრძოლად უნდა გადაქცეულიყო, ახლა მაინც დაფიქრდით, მიმართეთ კლასთა თანამშრომლობას, თორემ დაიღუპებითო, მაგრამ გამგონეს გასაგონათ ლა სცალია?!.

ასე უნდოდათ ჩვენს მტრებს და მტრის ზრახვანი ჩვენმა უგუნურებამ ეშმარიტებად აღიარა,—ვაი საქართველოს დამწყვეტელსა და ჩვენი ცხოვრების ამრევთ!.. ვნახოთ, რა ბედი ექადის ხვალინდელი დღე!“

ბ—ცანი.

უკანასკნელი ცნობები

სომეხთა ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საქართველოში, შეუდგენია ვრცელი საპროტესტო წერილი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესადმი მიმართული, არშაკ ზურაბოვისა, სიმონიკა ფირუმოვისა, ნიკო თარხანოვის და ისაკი ტერნერსესოვის გადასახლების შესახებ, რომელშიდაც ავტორები გამოთქვამენ ენერგიულ აღშფოთებას ასეთ ზომების წინააღმდეგ და მოითხოვენ აღნიშნულ პირების კვლავ საქართველოში დაბრუნებას.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

ლექციები. სამშაბათს, 25 ნოემბერს ქალაქის თეატრში ლექციებს წაიკითხავენ **სპირიდონ კედია:** „საქართველოს საგარეო და შინაური მდგომარეობა“, და **ალ. ასათიანი:** „საქართველოს ეკონომიურ-ფინანსიური მდგომარეობა.“,

ქალ. თვითმ. მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატება: ქალ. თვითმართვ. მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატებაზე კომისიამ დაადგინა: რადგან პირობები 15 აპრილს აქეთ, როცა მოხდა მოსამსახურეების ჯამეგირების მომატება საგრძნობლათ შეიცვალა, ამიტომ ის საჭიროთ სცნობს მოემატოს ქალ. თვითმ. მოსამსახურეთ არსებულ ჯამაგირებზედ 100 პროცენტი.

წყალ-გალმა უბნის კომისარმა დემორიამ მოიტეხა მარჯვენა ხელი, როცა ის მისდევდა ქურდებს, რომლებმაც ტყავი წაიღეს. ეს მოხდა 19 ღამეს. ქურდები ყველა შეიპყრეს.

მინისტრის ამხანაგები. შრომისა და მომარაგების მინისტრის ამხანაგებათ დაინიშნენ ალ. ბახტაძე და ილ. მაჭავარიანი.

ახალი ტარიფი. სატარიფო პალატამ დაამტკიცა 40 პრ. მოემატოს სახელმწ. და საზ. დაწესებულებათა მოსამსახურეებს.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლათ დაინიშნა სვიმონ ივანესძე ჯორბენაძე.

აჯანყების ხელმძღვანელთა დახვრეტა. აჯანყებაში მონაწილეობისთვის და ხელმძღვანელობისთვის საველე სასამართლომ დუშეთის მაზრაში დახვრეტა გადაწყვიტა ხუთს. გორის მაზრაში შვიდს. ყველა დახვრიტეს.

მევენახეთა კონგრესი, 23 ნოემბერს თბილისში გაიხსნება მევენახეთა კონგრესი.

პური. როგორც სარწმუნოდ წყაროებიდან ირწმუნებიან ამ მოკლე ხანში საქართველოში შემოიტანებენ 300 ათას ფუთ პურს.

სიმინდის ქფილის ფასი. სიმინდის ქფილის ფასი ბაზარზე 170 მანეთამდე უწევს.

საბჭოს სხდომა. ქუთაისის ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა, შესდგება დღეს (პარასკევს) **21 ნოემბერს** საღამოს **7 საათზე.**

ბიუჯეტის განხილვა. ქუთაისის ქალაქის საბჭოს საფინანსო-კომისსიამ 1919 წლის ქალაქის ბიუჯეტის განხილვა 19 ნოემბერს დაამთავრა, ეს ბიუჯეტი ახლო მომავალში წარედგინება საბჭოს დასადასტურებლათ.

შუამდგომლობა. ქუთაისის მასწავლებელთა კოლეგიის კერძო გიმნაზიის საბჭომ განათლების კომისიის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ხსენებულ გიმნაზიას აღმოეჩინოს 222,740 მანეთი სახელმწიფო დახმარება.

მასწავლებელთა ჯამაგირის მომატება. როგორც ვიცით, დამფუძნებელ კრების განათლების კომისიამ ამას წინად დაადგინა, რესპუბლიკის ყველა ტიპის სასწავლებელთა მასწავლებლებისთვის ჯამაგირის 100 პროცენტით გადიდება. ეს დადგენილება ჯერ დადასტურებული არ იქმნა, რადგან სატარიფო პალატა არ ეთანხმება მასწავლებელთა ჯამაგირების ასეთ განაწილებას და მოითხოვს მის ხელახლად განხილვას 6,228,800 მან. თვიურად საჭირო.

კორესპონდენციას.

ქ. ზესტაფონი. 15 ნოემბერს ადგილობრივ ნორმალურ სასწავლებელში შესდგა ქალაქის პირველ და ძალადაწყებითი სასწავლებლების მასწავლებელთა კრება. თავმჯდომარეობდა ბ. სიმონ ორჯენიკიძე, მდივნად იყო—კვანტრიშვილი. კრების პირველ საკითხს, მასწავლებლების მატერიალური მხარის განხილვა შეადგენდა. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ კრებამ დაადგინა გაეგზავნოს დელეგაცია ხუთი კაცისაგან შემდგარი ქალაქის მოურავს და დაეკითხოს აკმაკოფილებენ მასწავლებელთ 20 ნოემბრისათვის როგორც სამაზრო კრებამ დაადგინა 13 ოკტომბერს თუ არა? (ეს დადგენილება თვითმართველობამ მიიღო 17 ოქტომბერს თავის სხდომაზე, მაგრამ მის ფაქტიურად განხორციელებას ტანჯული მასწავლებლები ვერ ელირსენ) დელეგაციამ ინახულა ქ. მოურავის მოადგილე ბ. ლევან ბაქრაძე და გადასცა კრების დავალება. აქვე არ შეგვიძლია მკითხველის ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა თვითმართველობის დარბაზში: როდესაც დელეგატები ბატონ ბაქრაძისაგან მოითხოვდენ პასუხს, იგი მათ უმასპინძლდებოდა შემდეგი სიტყვებით „რა დაგემართად, „რა გააჭირვეთ საქმე,“ იფიცებით? თქვენი გაფიცვის ჩვენ არ გვეშინია, რამდენიც გინდათ გაიფიცეთ. გაფიცვებს ჩვენ ნაჩვევი ვართ 1605 წლიდან. და სხვა ამის შემდეგ დელეგატში მყოფ ერთ ქალთა პროფესიონალურ სასწავლებლის გამგეს, დაუწყო ანგარიშის სწორება, წინადღით ბედ. საბჭოს სახელით ოქმის წარდგენის გამო თვითმართველობაში; მოქალაქე ბაქრაძეს ეს ოქმი არ მოსწონებოდა და დელეგატების საქმიანობას გვერდი ამით აუხვია. დანარჩენი დელეგატები უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდენ. ამ რიგად საოსწარკვეთილი დელეგაცია დაბრუნდა კრებაზე და ვერავითარი დასტური მათ ვერ მიუტანა, რის შემდეგ კრებამ ერთ ხმად დაადგინა; უკეთუ 20 ნოემბრისათვის თვითმართველობა არ დააკმაყოფილებს მასწავლებლებს, მათ უფლება ეძლევათ თავისუფალი მოქმედებისა. კრება გადადის მეორე საკითხზე, დააარსონ კავშირი დაბალ და უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელთა შორის. ბან. კოვზირიძის მცირე განმარტების შემდეგ ირჩევენ კავშირის გამგეობას ხუთი კაცისაგან შემდგარს: ნესტორ კოვზირიძეს, ალ. შჩემპანსკის, სერაფიმა ჩხაიძის ასულს, სიმონ ორჯენიკიძეს და ალექსანდრე ნიქაბაძეს, სარევიზიო კომისიაში ბ. კელენჯერიძე, გალინა კვინიკიძის ასულს.

მასწავლებელი.

— —

ს. სიქთარუა (შორაპნის მაზრას) ს. სიქთარუაში მეტად საგულისხმო ამბავი მოხდა. მიაგნეს იმ ვაჟბატონებს რომელნიც სოფელს მოსვენებას არ აძლევდნენ და თავისებურად ბაჟებს აწერდენ საწყალ მშრომელ ხალხს.

ზოგს 5000 მ. ზოგს 10000მ. ზოგს მეტს და ზოგს კიდევ ნაკლებს. როგორც გამოირკვა შტაბიც ქონიათ, სადაც აწარმოებდნენ თურმე „გადასახადების გაწერას“ ვინ ბრძანდებიან მერე ეს ვაჟბატონები არ იკითხავთ? ერთი სიქთარუის სოციალ დემოკრატების „ბელადი“ მინაგორ ბაქიძე, რომელიც სოციალ დემოკრატებს თერჯოლის თემის მცირე საერობო ერთეულის კანდიდატთა სიაში აქვთ შეტანილი, მეორე, ისიც სოციალ დემოკრატი სიქთარუის მომამარიგებელ კომისიის წევრი კოწია თამბერიძე. მესამე ასისთავი პარმენ ბელელაძე და მეოთხე აკაკი ჭამკვეტაძე (არა სიქთარუელი) ალბათ ბევრი ტყავი აძვრეს ამ ვაჟბატონებმა მცხოვრებლებს დღემდინაც. მაგრამ ნათქვამია კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანსო და ისეთ დაემართათ მათ. ამ ერთი კვირის წინად, სიქთარუაში მცხოვრებს თეოფილე კვატაიას, წერილი მისვლია შემდეგი შინაარსის: „5000მ. დაამზადე აუცილებლად და ამა და ამ ადგილს შუა იარე ყოველ ღამე, ჩვენ შეგხვდებით და გამოგართმევთო თორემ გამოგასალმებთ სიცოცხლესო„ კარპიონ ბარბაქაძემ იმდენი იმეცადინა, რომ მიაგნო გზას, გამოარკვია საქმის ნამდვილი ვითარება, გაიგო ვინ ჩადიოდა ამ საქმეს და ზემო ჩამოთვლილი პირები ყველა მიიყვანა კოოპერატივთან, სადაც სოფელი შეკრებილიყო. დიდი მუქარის შემდეგ დამნაშავენი გამოტყდენ ამ გარემოებამ მეტად ააღელვა ხალხი და დიდი აურ-ზაური დატრიალდა. კოწია თამბერიძე და პარმენა ბელელაძე გაქცეულან. აკაკი ჭამკვეტაძე კი გაუშვა კარპიონ ბარბაქაძემ.

კარპიონ ბარბაქაძემ დიდი ენერგია გამოიჩინა ამ საქმის გამორკვევაში. მას ადმინისტრაცია წინეთ სდევნიდა. ეხლა კი სოფლის წინაშე თავი გაიმართლა, რამაც მეტათ გაახარა მცხოვრებლები. ხალხმა აღუთქვა ბარბაქაძეს, რომ ვი შუამდგომლებთ მთავრობის წინაშე შენი განთავისუფლებისთვისო. ერთმა პიროვნებამ რომ ასეთი მძიმე საქმე გამოარკვია, ადმინისტრაციის მოვალეობაა ეს გამორკვეული საქმე დააბოლოვოს და ზემო ჩამოთვლილ პირებს შესაფერისი მსჯავრი დასდოს.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო გაზ! „ჩვენი ქვეყნის“ № 78 ში იყო მოთავსებული წერილი ჩემ მიერ „კაიგრახის“ ფსევდონიმით სოფ. ქვაციხის ფერშლის ლევან გოგსაძის შესახებ. ბევრი უკმაყოფილება მქონდა ხალხისგან ამ ფერშალზე. ამისგამო ბევრი ციცი დაეწყო. ამ გაზეთს ფურცლებზე [illegible] ვიმყოფები სოფელში და ამ ტომ ჭორებმა გაჯგებრობაში ჩაგდეს. ეხლა ირკვევა რომ ის პირნათლათ ასრულებს თავის მოვალეობას, და ჩემ მიერ წარმოყენებული ბრალდებები სიმართლეს მოკლებული ყოფილა.

აპოლონ გოგსაძე.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

დაკარგე 9 ნოემბრის თარიღით ობჩის ერობის გამკეობის მიერ მოცემული პიროვნების მოწმობა (ერთი წლის ვადით) დღეიდან ამ მოწმობას გაუქმებულად ვაცხადებ.

ნესტორ ბიჭიას ძე გეწაძე.

1—1.

დაკარგე შემთხვევით ქალ. ქუთაისში 18 გიორგობისთვეს სამხედრო უფროსის მიერ მოცემული მოწმობა. მნახველს ვსთხოვ მომიტანოს რისთვისაც საჩუქარს მიიღებს. მისამართი: გიმნაზიის ქუჩა, საპარიკმახეროში, თეატრის პირდაპირ.

გრიგორი შალამბერიძეს.

1—1.

ნუსხა

პირველ ქართულ ლატარიის მოგებულ ბილეთებისა, ლატარიის გამგეობის მიერ ხელმოწერილი.

(გაგრძელება)

სერ. №№	ბილეთის მოგ. №	ბილეთის მოგ. №	ბილეთის მოგ. №	ბილეთის მოგ. №	ბილეთის მოგ. №	ბილეთის მოგ. №
	გება	გება	გება	გება	გება	გება
110	479—100	334—100	298—100	196—100	151—100	158—100
111	500—100	79—100	238—100	180—250	274—100	398—100
112	45—100	150—100	215—100	3—100	162—100	381—100
113	169—100	137—100	251—100	158—100	38—100	244—100
114	2—100	234—100	93—100	374—100	482—100	296—100
115	68—100	138—100	114—250	198—100	266—100	59—250
116	391—100	159—100	149—100	444—100	393—100	123—100
117	320—100	402—100	159—250	177—100	5—100	451—100
118	287—100	378—100	22—100	346—100	356—100	122—100
119	224—100	92—100	28—250	340—100	69—100	255—100
120	187—100	459—100	350—100	96—100	424—250	205—100
121	306—100	272—100	373—100	203—100	29—100	54—100
122	299—5,000	417—100	96—100	257—100	90—100	287—100
123	314—100	191—100	58—100	32—100	104—100	423—100
124	116—100	481—100	270—100	141—250	209—1,000	297—100
125	83—100	346—100	101—100	243—100	439—100	407—100
126	115—100	66—100	385—100	300—100	193—100	316—100
127	448—100	77—100	459—100	287—100	296—250	36—100
128	300—250	492—100	423—100	471—100	138—100	83—100
129	286—100	72—100	98—100	213—100	427—100	211—100
130	438—100	195—100	408—100	194—100	489—100	98—100
131	66—100	350—500	252—100	411—100	289—100	
132	424—100	133—100	43—100	492—100	237—100	
133	401—500	216—100	318—100	494—100	412—100	375—100
134	477—10	12—100	80—100	486—100	26—100	221—100
135	389—100	87—500	281—100	259—10,000	382—100	288—100
136	439—100	418—100	47—100	499—100	307—100	365—100
137	62—250	44—100	404—100	330—100	457—250	147—250
138	88—100	365—100	458—100	5—100	419—100	471—100
139	60—100	226—100	249—100	496—100	448—100	224—250
140	16—100	210—100	495—100	53—100	499—100	479—100
141	428—100	431—100	84—100	442—100	242—100	373—100
142	346—100	186—100	106—500	498—100	91—100	234—100
143	414—100	253—100	325—100	426—100	431—100	173—100
144	379—100	274—100	480—250	343—100	186—100	422—100

(გაგრძელება იქნება).

სტამბა ნ. ფერაძის და ამხ. ქუთაისში, მიხეილოვის ქუჩა, გოკიელოვის სახლი.